



სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

04/05/2026



MES 1 26 0000524502

ბრძანება

თბილისი

ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი 2026 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 აპრილის N55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის (N 522884 04/05/2026) სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად - ქართულ და ინგლისურ ენებზე;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად - ქართულ და ინგლისურ ენებზე;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფია CV-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად - ქართულ და ინგლისურ ენებზე;
6. დამტკიცდეს კონსულტანტის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად - ქართულ და ინგლისურ ენებზე;
7. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი №6-ის შესაბამისად - ქართულ და ინგლისურ ენებზე;

8. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი №7-ის შესაბამისად - ქართულ და ინგლისურ ენებზე;
9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი №8-ის შესაბამისად - ქართულ და ინგლისურ ენებზე;
10. დამტკიცდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი №9-ის შესაბამისად - ქართულ და ინგლისურ ენებზე;
11. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №10-ის შესაბამისად;
12. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი ნინო აბუსელიძე. ფინანსურ კონსულტანტებად - ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ანა კობერიძე და ამავე დეპარტამენტის სპეციალისტი - ირაკლი იაშვილი;
13. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
14. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოქვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი



დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 4 მაისის № 524502 ბრძანებით

ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი 2026 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციას, კერძოდ ვატიკანის არქივებში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიცირებას, კვლევისა და, საჭიროების შემთხვევაში, გაციფრულებას კვლევის მიზნებიდან გამომდინარე; ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისადმი ინტერდისციპლინარული და ინოვაციური მიდგომების მხარდაჭერას; ახალგაზრდა მეცნიერების შესაძლებლობების განვითარებას ვატიკანში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევების სფეროში; კვლევის შედეგების პოპულარიზაციას, ქართული ხელნაწერებისა და სხვა კულტურული მემკვიდრეობის მასალების ხელმისაწვდომობისა და ხილვადობის გაზრდას, ასევე საერთაშორისო ცნობიერების ამაღლებას ეთიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების დაცვით;
2. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 აპრილის N 55/ნ ბრძანებითა და ფონდის გენერალური დირექტორის წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.
3. კონკურსის ფარგლებში პროექტის წარდგენა შესაძლებელია შემდეგ თემატურ მიმართულებებში:
 - ა) ქართული ხელნაწერების, მათ შორის ქართულ ენასთან დაკავშირებული წერილობითი წყაროების კვლევა;
 - ბ) ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის კვლევა და შედარებითი ანალიზი;
 - გ) საქართველოსთან დაკავშირებული ისტორიული და პოლიტიკური წყაროების კვლევა.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსის ფარგლებში ფინანსდება ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობაა პროექტის წარმდგენს ჰქონდეს ვატიკანის არქივებში მუშაობის წერილობითი ნებართვა ან წარმოადგინოს ნებართვის მიღების პროცესის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.
3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:
 - ა) ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე მკვლევარს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
 - ბ) ჯგუფური პროექტის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე მკვლევართა ჯგუფს, რომელიც შედგება არაუმეტეს სამი წევრისგან.
 - ბ.ა) ჯგუფური პროექტის წარდგენის შემთხვევაში, მკვლევართა ჯგუფს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის

მქონე პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის შედგენაზე, განხორციელებასა და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

4. ჯგუფური პროექტის წარდგენის შემთხვევაში, სასურველია პროექტში ჩართული იყოს **ახალგაზრდა მეცნიერი** – საქართველოს მოქალაქე, რომელსაც მაგისტრის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში, ან არის აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი.
5. კონკურსის მონაწილე მკვლევარს (ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში) ან მკვლევართა ჯგუფს (ჯგუფური პროექტის შემთხვევაში) შეიძლება ჰყავდეს **უცხოელი კონსულტანტი** - პირი, რომელიც კონსულტირებას გაუწევს მკვლევარს ან მკვლევართა ჯგუფს ვატიკანის არქივებში მუშაობის პროცესში. კონსულტანტის საქმიანობა არ ანაზღაურდება ფონდის მიერ.
6. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იურიდიული პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
7. პროექტის მონაწილეებს (მკვლევარის ან/და ხელმძღვანელის სტატუსით) მიმდინარე კონკურსზე შეუძლიათ დაარეგისტრირონ მხოლოდ ერთი, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტი.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს.
2. ინდივიდუალური პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი მაქსიმალური საგრანტო დაფინანსება შეადგენს 30 000 ლარს, ხოლო ჯგუფური პროექტისთვის - 60 000 ლარს.
3. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:
 - ა) **მკვლევარის საგრანტო დაფინანსება** - მკვლევარის საგრანტო დაფინანსება საანგარიშო პერიოდში შეადგენს 6000 ლარს, ხოლო იმ მკვლევარ(ებ)ის რომელიც/რომლებიც მიემგზავრება/მიემგზავრებიან ვატიკანის არქივში კვლევითი ვიზიტით, მათი საგრანტო დაფინანსება საანგარიშო პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 4 000 ლარს;
 - ბ) **კვლევითი საქმიანობის ხარჯები**, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:
 - ბ.ა) ვატიკანში კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯები (მათ შორის რეგისტრაციის გადასახადი, საცხოვრებელი, ტრანსპორტირების ხარჯები და სხვა); ვატიკანის არქივებში კვლევითი ვიზიტის ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს თვიურად 2500 ევროს ექვივალენტს ლარში;
 - ბ.ბ) გაციფრულების ხარჯები (საჭიროების შემთხვევაში);
 - ბ. გ) პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკის ხარჯები;
 - ბ. დ) სხვა ხარჯი.
 - გ) **საგამომცემლო ხარჯი** - კვლევის შედეგად გამოქვეყნებული პუბლიკაციის გამოქვეყნების ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს.
4. პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს იურიდიული ან ფიზიკური პირის თანადაფინანსებას. თანადაფინანსების შემთხვევაში მკვლევარმა ან მკვლევართა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს თანადაფინანსების დამადასტურებელი წერილი თანხის მითითებით.
5. პროექტის ფარგლებში, ვატიკანის არქივებში კვლევითი ვიზიტისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული შეიძლება იყოს მაქსიმუმ 2 თვე.
6. გრანტით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, იჯარა, კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის, მობილური ტელეფონის შეძენა.
7. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ პირებს საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.
8. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის მკვლევარმა ან მკვლევართა ჯგუფმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) **კრებსითი ინფორმაცია** ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 2) ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს;

ბ) **საპროექტო წინადადება** ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 3) იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით;

გ) **პროექტის მონაწილე პირების** (ხელმძღვანელის, მკვლევარის და უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV-ები) ქართულ და ინგლისურ ენებზე იტვირთება პროექტში PDF დოკუმენტების სახით. კონკურსში მონაწილე მკვლევრები ინდივიდუალურად რეგისტრირდებიან GMUS-ში, ქმნიან „მეცნიერის პროფილს“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება CV-ები, ექსპორტირდება და იტვირთება პროექტში (დანართი 4); **CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ინგლისურენოვან CV-ში ეს ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურად (შესაძლებელია ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითება).** კონსულტანტის CV შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი ფორმატით და მისი ქართული თარგმანი არ საჭიროებს დამოწმებას თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

დ) **უცხოელი კონსულტანტის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილები - Letter of Commitment - ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 5) იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით. თანხმობის წერილი ქართულ ენაზე ნათარგმნი და დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ვ) **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 6) ივსება GMUS-ში;

ზ) **პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 7) ივსება GMUS-ში;

თ) **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 8) იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით, შესაბამისი თანხის მითითებით და დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) **იურიდიული პირის თანხმობის წერილი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 9) იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით. თანხმობის წერილი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის, მკვლევარმა ან მკვლევართა ჯგუფმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (ნიმუში 10, გენერირდება GMUS-ით) დადასტურებული კონკურსში მონაწილე პირების ხელმოწერებით.

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში, მკვლევარის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება საგრანტო დაფინანსება;

ბ) ჯგუფური პროექტის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება საგრანტო დაფინანსება;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის

ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარგმანთა ბიუროს მიერ;

4. უცილებელია, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე პროექტის წარმდგენ პირ(ებ)ს ჰქონდეთ ვატიკანის არქივებში მუშაობის მოქმედი წერილობითი ნებართვა.
5. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.
6. მკვლევარი (ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში) და პროექტის ხელმძღვანელი (ჯგუფური პროექტის შემთხვევაში) პასუხისმგებელია კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ინგლისური და ქართული ვერსიების იდენტურობაზე.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:
 - ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია (ორივე მიმართულებისთვის: ინდივიდუალური და ჯგუფური) – 2026 წლის 4 მაისიდან- 2026 წლის 29 მაისის 16:00 საათამდე;
 - ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2026 წლის 5 ივნისის 18:00 საათამდე.
2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვასა და გადაგზავნას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge>. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:
 - ა) პროექტის წარმდგენი მკვლევრების რეგისტრაცია – GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ შექმნა, ბიოგრაფიული მონაცემების შევსება ქართულ და ინგლისურ ენებზე, აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა (დიპლომი, სერთიფიკატი და ა.შ.); საქართველოს მოქალაქე პირთათვის, თუკი აღნიშნული დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის პერიოდში გაცემულ დიპლომს არ სჭირდება აღიარება;
 - ბ) პროექტის რეგისტრაცია – კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსება და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვა GMUS-ის შესაბამის ველებში;
 - გ) ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში მკვლევარი, ხოლო ჯგუფური პროექტის შემთხვევაში პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია, არ შეიცავს ყალბ მონაცემებსა და პლაგიატის ელემენტებს.

3. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“.

მუხლი 6. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:
 - ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - 2026 წლის 4 მაისი;
 - ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია - 2026 წლის 29 მაისის 16:00 სთ-მდე;

გ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე;

დ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა – 2026 წლის 5 ივნისის 18:00 სთ-მდე;

ე) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა – 2026 წლის ივნისი;

ვ) შუალედური შედეგების გამოქვეყნება – ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ – 2026 წლის ივნისი;

ზ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება კომისიის მიერ – 2026 წლის ივლისი-აგვისტო;

თ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება – 2026 წლის სექტემბერი;

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 აპრილის N 55/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;

ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

მუხლი 7. პროექტების შეფასება და დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შეფასდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 აპრილის N 55/ნ ბრძანების მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. კონკურსში წარმოდგენილი ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები შეფასდება დამოუკიდებლად.

3. პროექტების შეფასება განხორციელდება ადგილობრივი ან/და საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან დაკომპლექტებული კომისიის მიერ.

4. ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი კომისია აფასებს კონკურსში მონაწილე პროექტებს, კონსენსუსის წესით ადგენს საბოლოო ქულას, შეიმუშავებს შემაჯამებელ კომენტარს, ადგენს რანჟირებულ სიებს ცალკე-ცალკე ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტებისთვის, გამოავლენს გამარჯვებულ პროექტებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 აპრილის N 55/ნ ბრძანებით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და წარუდგენს ფონდის გენერალურ დირექტორს დასამტკიცებლად.

5. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების გამოცხადებასა და კონკურსში მონაწილეთათვის ექსპერტთა შეფასებების გაცნობას გრანტების მართვის ერთიანი სისტემის (GMUS) საშუალებით.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებული პროექტის წარმდგენ პირებთან, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები დეტალურად.
2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.
3. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, საგრანტო თანხა გადაირიცხება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშის სახით.
4. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი გადარიცხავს ტრანშს შესაბამისი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება;
5. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან მკვლევართა ჯგუფის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.
6. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ, ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად, ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.
2. ფონდი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 აპრილის N 55/ნ ბრძანების მე-15 მუხლით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ადგენს შესაბამის განხილვის აქტებს.
3. ფონდი გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი ანგარიშების წარდგენის საფუძველზე, ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
4. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
5. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგის შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები.
6. წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა.
7. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:
 - ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის (მუხლის) ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი

მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას. ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის შიგნით, ქვეკატეგორიებს შორის თანხების გადანაწილების ცვლილება არ საჭიროებს ფონდთან შეთანხმებას, თუ აღნიშნული ცვლილება არ ითვალისწინებს ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის მთლიანი ოდენობის გაზრდას, არ გულისხმობს ახალი ქვეკატეგორიის დამატებას და არ ეხება პროექტში ჩართული მკვლევრების საგრანტო დაფინანსებას; ამასთან, პროექტის ბიუჯეტის დასაბუთებაში მითითებული ჩანაწერებისაგან განსხვავებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებს მოსთხოვოს დამატებითი დასაბუთება გაწეული ხარჯის მიზნობრიობის დასადასტურებლად და მიღებული განმარტებით იხელმძღვანელოს ხარჯის მიზნობრიობის განხილვისას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 აპრილის N 55/ნ ბრძანების მე-16 მუხლის შესაბამისად.
2. გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა და აუთვისებელი ნაშთი.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღების მიმართ

1. გრანტის მიმღები პირები ვალდებული არიან ვატიკანში მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით:
 - ა) გამოაქვეყნონ მინიმუმ ერთი მონოგრაფია/წიგნი/სახელმძღვანელო/გამოცემა/კრებული;
 - ბ) მოახდინონ კვლევის პოპულარიზაცია (პრეზენტაცია/გაშუქება მედიაში/სიუჟეტი/ინტერვიუ);
 - გ) უზრუნველყონ პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული ნაშრომის როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსიის (PDF ფორმატით) გადაცემა გრანტის გამცემისთვის.
2. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები და შექმნილი სამეცნიერო პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
 - ა) პუბლიკაციაში (მონოგრაფია, წიგნი, სახელმძღვანელო, გამოცემა, კრებული) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ პუბლიკაციაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.
 - ბ) ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდი, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.
3. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი

გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერზე.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
 პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ
Cover page

I გვერდი
 ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
 General information about the project

1	პროექტის სახელწოდება ქართულად	
	Project title in English	
2	პროექტის ტიპი	I - ინდივიდუალური II - ჯგუფური
	Project Type	I - Individual II - Group
3	ვატიკანის არქივებში მუშაობის წერილობითი ნებართვა	PDF ფაილის ატვირთვა
4	Written permission to work in the Vatican archives	PDF file upload
5	საპროექტო წინადადება (ქართული)	PDF ფაილის ატვირთვა
6	Project proposal (ENG)	PDF file upload
7	პროექტის დაწყების დრო Project start date	
8	პროექტის ხანგრძლივობა (თვეებში)	
9	პროექტის დასრულების თარიღი Project end date	

10	პროექტის აბსტრაქტი (ქართული)	სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400
11	Project abstract (ENG)	Maximum word count - 400

სამეცნიერო თემატური მიმართულებები Scientific thematic fields		
12	Thematic priority	<ol style="list-style-type: none"> ქართული ხელნაწერების, მათ შორის ქართულ ენასთან დაკავშირებული წერილობითი წყაროების კვლევა; ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის კვლევა და შედარებითი ანალიზი; საქართველოსთან დაკავშირებული ისტორიული და პოლიტიკური წყაროების კვლევა.
13	თემატური პრიორიტეტი	<ol style="list-style-type: none"> Research of Georgian manuscripts, including written sources related to the Georgian language; Research and comparative analysis of Georgian Christian heritage; Research of historical and political sources related to Georgia.
14	საკვანძო სიტყვები (არა უმეტეს 5 ტერმინისა)	
	Key Words (no more than 5 terms)	

შენიშვნა: ყველა ველის შევსება სავალდებულოა

II გვერდი
ორგანიზაცია
Organization

ინფორმაცია იურიდიული პირის შესახებ, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about the organization providing research infrastructure to the project (if applicable)		
1	იურიდიული პირის დასახელება	
	Organization name	
2	უფლებამოსილი პირი (სახელი, გვარი)	
	Authorized person (name, surname)	
3	ელ.ფოსტა E-mail	
4	ტელეფონი Telephone	

5	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
6	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of commitment	PDF file upload

ინფორმაცია თანადამფინანსებელი იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about co-funding legal/natural person (if applicable)		
7	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის სახელწოდება	
	Co-funding legal person	
8	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
9	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding commitment	PDF file upload
10	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
	Co-funding natural person (Name, Surname)	
11	ელ. ფოსტა E-mail	
12	ტელეფონი Telephone	
13	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding commitment	PDF file upload

შენიშვნა: ეს ველები არაა სავალდებულოდ შესავსები, თუმცა თუ მკვლევარი დაარეგისტრირებს ან თანადამფინანსებელს ან იურიდიულ პირს, რომელიც პროექტს ეხმარება ბაზით, მაშინ მათთვის განკუთვნილი ველები სავალდებულო ხდება.

III გვერდი
პერსონალი
personnel

ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში

მკვლევარი Researcher		
1	პირადი ნომერი ID number	
2	სახელი, გვარი Name, surname	
3	სქესი Sex	

4	აკადემიური ხარისხი Academic degree	
5	ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსი (კი, არა)	
6	გამგზავრება	1. მკვლევარი მიემგზავრება ვატიკანის არქივში კვლევითი ვიზიტით; 2. მკვლევარი არ მიემგზავრება ვატიკანის არქივში კვლევითი ვიზიტით;
7	ელ. ფოსტა E-mail	
8	ტელეფონი Telephone	
9	ბიოგრაფია (CV) CV	PDF ფაილის ატვირთვა PDF file upload

ჯგუფური პროექტის შემთხვევაში

პროექტის ხელმძღვანელი დაამატეთ ძირითად პერსონალშიც

პროექტის ხელმძღვანელი Principal Investigator		
1	პირადი ნომერი ID number	
2	სახელი, გვარი Name, surname	
3	აკადემიური ხარისხი Academic degree	
4	ელ. ფოსტა E-mail	
5	ტელეფონი Telephone	

ინფორმაცია პროექტის წარმდგენი პირების შესახებ

N°	პირადი ნომერი	სახელი, გვარი	პოზიცია პროექტში	აკადემიური ხარისხი	ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსი (კი, არა)	გამგზავრება	სქესი (მდედრ. მამრ.)	CV - ქართულადა ინგლისურად (pdf ფაილი)
1			პროექტის ხელმძღვანელი					
2			მკვლევარი					
3			მკვლევარი					

N	ID number	Name, Surname	Position in the project	Academic degree	Young scientist (Yes, No)	Research visit	Sex (male, female)	CV - ქართულადა ინგლისურად (pdf ფაილი)
1			Principal Investigator					
2			Researcher					
3			Researcher					

შენიშვნა: ჯგუფურ პროექტში მონაწილეობს არა უმეტეს 3 მკვლევარი, აქედან 1 ხელმძღვანელი უნდა იყოს.

ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტის შემთხვევაში, შესაძლებელია მეცნიერს ჰყავდეს უცხოელი კონსულტანტი

უცხოელი კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Foreign Advisor (if applicable)		
